საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1047

2016 წლის 9 ივნისი

ქ. თბილისი

შპს „ქობულეთი მ“-ისათვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის/მოპოვების და აღნიშნული საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო დამხმარე გზის მოწყობის მიზნით, სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდში, ქობულეთის სატყეოს კვარტალ №11-ში მდებარე 89 099 კვ.მ მიწის ფართობით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადა (ხე-მცენარეების ჭრის უფლებით) შპს „ქობულეთი მ“-ს (ს/კ: 446956474) განესაზღვროს 3 (სამი) წლით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**